

სამგორის სამხრეთი თაღის მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის
საჯარო განხილვა

გარდაბნის მუნიციპალიტეტი, საქართველო

2019 წლის 24 დეკემბერი 14:00. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზი, დ.
აღმაშენებლის ქუჩა 17, გარდაბანი, საქართველო

2019 წლის 26 დეკემბერი 11:00. მუხროვანის დასახლება, ვალიკო ბერიძის სახლი, ახალსოფლის
ადმინისტრაციული ერთეული, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, საქართველო

2019 წლის 26 დეკემბერი 15:00. საჯარო სკოლა 2, ვაზიანის სოფელი, მარტყოფის
ადმინისტრაციული ერთეული, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, საქართველო

განცხადება

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული, შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანიის“ მიერ, სამგორის სამხრეთ თაღის ნავთობის საბადოს ბაზაზე (XIB ugs სალიცენზიო ბლოკი) დაგეგმილია მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა. პროექტის ფარგლებში, კონსულტანტმა კომპანიამ მოამზადა ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ანგარიში. 2019 წლის ივნისი - აგვისტოს თვეებში სკოპინგის ანგარიშის ფარგლებში ჩატარდა სამი საჯარო განხილვა. პროექტის შემდეგ ეტაპზე, შემუშავდა მიწისქვეშა გაზსაცავის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და პროექტის მართვის შესაბამისი გეგმები. აღნიშნული დოკუმენტები მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის, „ევროპის საინვესტიციო ბანკის“ (EIB) და „გერმანიის განვითარების ბანკის“ (KfW) მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვები მიზნად ისახავს დოკუმენტში ასახული შედეგების განხილვასა და დაინტერესებულის მხარეების პროექტში ჩართულობას.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და პროექტთან დაკავშირებული მართვის გეგმები ხელმისაწვდომია:

- ელექტრონული ვერსია: „საქართველოს გაზსაცავის კომპანიის“ ინტერნეტ გვერდზე (<https://www.gogc.ge/en/project/gas-storage/43>) და ასევე შედეგ მისამართზე https://drive.google.com/drive/folders/1rtdTQno3Lt0ALTk_K_hWsufQ2zN8oqXq, ან/და „საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ და „საქართველოს გაზსაცავის კომპანიის“ ფეისბუქის გვერდებზე;
- ბეჭდური ვერსია: „საქართველოს გაზსაცავის კომპანიაში“ (კახეთის გზატკეცილი 21, თბილისი, საქართველო), „საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოში“ (სანაპიროს ქ.2 თბილისი, საქართველო) და გარდაბნის მუნიციპალიტეტში (გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. 127).

საჯარო შეხვედრებს შესაძლებელია დაესწროს საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი. საზოგადოებას უფლება აქვს საქართველოს გაზსაცავის კომპანიას წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები ბსგშ-ს ანგარიშთან დაკავშირებით (წერილობით; საჯარო განხილვის დროს; ელექტრონული საშუალებით, თუ ის იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების საშუალებას) **2020 წლის 20 იანვრამდე.**

პროექტის შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ:

გიორგი ბიბინეიშვილს - პროექტის მენეჯერი, საქართველოს გაზსაცავის კომპანია
ტელ: (+995 32) 2 24 40 40 (804), მობ: (+995) 595 22 02 07, ელ-ფოსტა: g.bibineishvili@ggsc.ge
მისამართი: საქართველო, 0190, თბილისი, 21 კახეთის გზატკეცილი